



ცენსაკო
საპროექტო საარჩევნო
სისტემა

საარჩევნო სისტემების ტექნოლოგიები,
ჩართულობა და სწავლება

ცენტრი



საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები (მუხლი 65)

- მუდმივად უნდა იმყოფებოდეთ საარჩევნო ყუთთან
- უნდა აკონტროლოთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები
- დახურული უნდა გქონდეთ საარჩევნო ყუთის სპეციალური კონვერტის ჩასაგდება ჭრილი
- ფარული კენჭისყრის კაბინიდან ამომრჩევლის გამოსვლის შემდეგ უნდა მიუთითოთ მას, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი
- მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, უნდა გახსნათ საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითოთ ამომრჩეველს სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში
- სთხოვეთ ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი

ყურადღება!

- მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში, გამონაკლისია ფიზიკური მდგომარეობის მქონე ამომრჩეველი, რომლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში
- საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩეველის მისვლა არ შეიძლება
- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი
- უფლება გაქვთ, ამომრჩეველის მიერ სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის მოთავსებამდე მოსთხოვოთ მას გიჩვენოთ, რომ მას ხელთ აქვს ერთი საარჩევნო ბიულეტენი და ერთი კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა